



MES 5 21 0000799705



17/08/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 4 აგვისტოს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/85214920141?pwd=UWJFL2pSTnRuWjJwMUNTL3M4cU14Zz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი** - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი)

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ კასპის კოლეჯი:**

მერაბ გოხელაშვილი - დირექტორი;

მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

მარიამ გოგოლაძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი;

მარიამ ბესიაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი;

ხატია ნადირაძე- პროგრამის განმახორციელებელი.

**ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი:**

რეზო შარაბიძე - დირექტორი;

მაკა ვარდოსანიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

რევაზ ბიწვინაშვილი - პროგრამის (რელიგიური ტურის გიდი) განმახორციელებელი პირი;

მარიამ ნინიკაშვილი - პროგრამის (ტიხრული მინანქრის ნაკეთობის დამზადება) განმახორციელებელი პირი;

ლალი მანთაშაშვილი - პროგრამის (ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება) განმახორციელებელი პირი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

ქეთევან ჯანელიძე,

მანანა კუპატაძე,

მანანა კობალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა,

სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

ვინაიდან საბჭოს მდივანი არ ესწრებოდა სხდომას, თავმჯდომარემ გიორგი გამყრელიძეს დაავალა მდივნის მოვალეობის შესრულება, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ /01153/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „რელიგიური ტურის გიდი“ /01130/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ /01132/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ /01133/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რაიმე შუამდგომლობა ხომ არ იყო ცენტრის ან დაწესებულების მხრიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრს შუამდგომლობა არ აქვს დღის წესრიგთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აცილება არ აქვთ საბჭოს წევრების მიმართ.

**1. სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ /01153/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა - ლანა გაჩეჩილაძემ. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დისტანციური ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 20 ივლისს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული გადამზადების პროგრამა - რეგიონალური ტურისტული მეგზური, მეოთხე დონე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, მოთხოვნილი მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, ერთი ჯგუფის შემთხვევაში -15, განხორციელების ადგილი - ქ. კასპი. აღმაშენებლის ქ. №168 ვ.

სსიპ კასპის კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროგრამის შემუშავების საჭიროების დასაბუთება, რომელიც ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს. ესენია; შიდა ქართლის რეგიონის განვითარების ტრატეგია (2014-2021), რომლის მიხედვით ტურიზმი არის ერთ-ერთი მთავარი დარგი, რომელიც შიდა ქართლის მხარის ეკონომიკური აქტივობას განსაზღვრავს. შიდა ქართლის რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისთვის ტურისტული პოტენციალი განიხილება, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი სფერო.

კოლეჯი აღნიშნული მოკლევადიანი პროგრამის განხორციელებას გეგმავს USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ზრდა საქართველოში“. პროექტის ფარგლებში კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ, „ზრდის“ ინიციატივით და დაფინანსებით, შემუშავდა რეგიონალური ტურისტული მეგზურის გადამზადების მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსი, რომლის დანერგვაც დაგეგმილია კასპის კოლეჯშიც. ამის უზრუნველსაყოფად მემორანდუმი გაფორმდა სსიპ კასპის კოლეჯსა და USAID-ის პროექტ „ზრდა საქართველოში“ შორის. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში კოლეჯს გადაეცა შესაბამისი აღჭურვილობა.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა, ისევე როგორც საბჭოს წინა სხდომებზე განხილული ამ მიმართულების პროგრამები, კოლეჯმა კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC) და USAID - ის პროექტ „ზრდა საქართველოში“ დახმარებით შეიმუშავა. კოლეჯი ინფორმირებული იყო სხვა ორგანიზაციების საკითხების განხილვისას საბჭომ რა გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან კოლეჯის წარმომადგენელი ესწრებოდა განხილვისას საბჭოს სხდომას. ამდენად, ის რეკომენდაციები, რაც გაიცა სხვა ორგანიზაციებისთვის ამ მიმართულების პროგრამაზე, კოლეჯმა წარმოდგენილ პროგრამაში გაითვალისწინა.

პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი დაშვების წინაპირობა:

ტურისტულ სფეროში საქმიანობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება ან/და განათლება ტურიზმის მიმართულებით - 1 წელი; განათლება: საშუალო; ინგლისური ენა (B2).

როგორც კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს კოლეჯმა ინგლისური ენა შეარჩია, რადგან იგი აღიარებულია საერთაშორისო ენად. **რეკომენდირებულია** დაზუსტდეს უცხო ენის კომპეტენციის დადასტურების წესი.

კოლეჯის წარმომადგენელმა, მარიამ აბელიანმა აღნიშნა, რომ შერჩევის ეტაპი- გასაუბრება, ასევე მოიცავს უცხო ენის დონის დადგენას, კერძოდ, გასაუბრებამდე აპლიკანტებს ეცნობებათ, რომ უნდა მოამზადონ რომელიმე ტურისტული ობიექტის შესახებ საამბო ტექსტი ინგლისურ ენაზე.

ქრისტინე მეფარიშვილი დაინტერესდა კოლეჯი ითხოვს თუ არა ინგლისური ენის შესაბამისი დონის სერტიფიკატს, თუ მხოლოდ გასაუბრების ეტაპით ახდენს დონის განსაზღვრას.

მარიამ აბელიანმა განმარტა, რომ შესაძლოა პირმა იცოდეს უცხო ენა, თუმცა შესაბამისი სერტიფიკატი არ ჰქონდეს, ამდენად სერტიფიკატის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. კოლეჯი გასაუბრების ეტაპზე ამოწმებს ინგლისურ ენაზე პრეზენტაციის უნარს და არა გრამატიკის სრულყოფილ ცოდნას.

ქრისტინე მეფარიშვილმა იკითხა, პროგრამის სწავლებისას თუ არის გათვალისწინებული პრაქტიკული სავარჯიშოები ან რაიმე აქტივობები ინგლისურ ენაზე, რაზეც კოლეჯის წარმომადგენლებმა დააზუსტეს, რომ გათვალისწინებულია პრაქტიკული სავარჯიშოები, მაგალითად საამბო ტექსტის შედგენა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის შემდეგი შედეგების მიღწევას:

1. ტურიზმის ინდუსტრიისა და ტურისტული გიდის სამუშაოს აღწერა;
2. ტურისტული პროდუქტის კონცეფციის ჩამოყალიბება;
3. ექსკურსიის დაგეგმვა;
4. უსაფრთხოების საკითხების ცოდნა;
5. ჯგუფის გაძღოლა;
6. ობიექტის დემონსტრირება და სალაშქრო ინვენტარის გამოყენება.

გაიცა რეკომენდაცია, რომ სასურველია, კურსდამთავრებულის წარმატებით დასაქმების მიზნით, პროგრამას დაემატოს კომპონენტი, რომელიც გულისხმობს იმ სარეკლამო არხების მიწოდებას მსმენელისათვის, რომლის საშუალებით იგი შეძლებს საკუთარი მომსახურების შეთავაზებას მომხმარებლისათვის, შეძლებს სწორად შეფუთოს საკუთარი პროდუქტი და მოახდინოს სწორი პოზიციონირება შრომით ბაზარზე.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯს არ აქვს დადებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით რომელიმე ტურისტულ კომპანიასთან ხელშეკრულება, თუმცა კოლეჯი თავად ფლობს სალაშქრო ინვენტარს. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა აქტიურად იქნება გამოყენებული. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად ასევე გათვალისწინებულია სასწავლო ექსკურსიები ტურისტულ ლოკაციებზე და სხვადასხვა ტურისტულ კომპანიებში. ერთ-ერთ განმახორციელებელი არის ადმინისტრაციული მენეჯერი ტურისტული კომპანიაში.

**ხარვეზი** დაფიქსირდა მხოლოდ ერთ ქვესტანდარტში, ფაქტობრივად იგივე ხარვეზი, რაც ამ ორგანიზაციის სხვა პროგრამების შემოწმებისას დასკვნაში დაფიქსირდა და საბჭომ განიხილა წინა სხდომაზე:

2.4 ქვესტანდარტი - სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების შედეგად წარმოდგენილია დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა № 375 (თარიღი 27.05.2021), რომელშიც გაწერილია შესასრულებელი ღონისძიებები, შესრულების ვადა მითითებულია 29-10-2021 - მდე. განაცხადი წარმოდგენილია 131 დადგენილების ცვლილებამდე, ამდენად წარმოებაზე მოქმედებს სტანდარტების ძველი რედაქცია, სადაც მტკიცებულებად ვერ განიხილება მიწერილობის დოკუმენტი და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის გარეშე (ქვესტანდარტის მიხედვით მტკიცებულების გარეშე), ექსპერტის და საბჭოს აპარატის წარმომადგენლის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში, ვერ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

ლანა გაჩეჩილაძემ გააჟღერა დასკვნაში დაფიქსირებული კიდევ ერთი რეკომენდაცია:

ქვესტანდარტი 2.2 პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს მითითებული აქვს მხოლოდ A გარემო. მისაღწევი სწავლის შედეგები აშკარად საჭიროებს B გარემოს. სასურველია ეს გათვალისწინებულ იქნას და რიგი სწავლის შედეგების განხორციელება დაიგეგმოს B გარემოში. კოლეჯის განმარტებით, ვინაიდან აღნიშნული გარემოს აღჭურვილობის შესყიდვა

არ არის ჯერ დამთავრებული, არ მიუთითეს პროგრამაში B გარემო. აღსანიშნავია, რომ ეს გარემო ასევე გამოიყენება გრძელვადიანი პროგრამებისთვისაც და სწავლის დაწყებამდე მოხდება სრული აღჭურვა.

გაიცა ასევე ზოგადი რეკომენდაცია:

სსიპ - კასპის კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ორჯერ მოხსენიებულია სიტყვა სტუდენტი, სასურველია შეიცვალოს -მსმენელით.

ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა ფოტო მასალა, კერძოდ სასწავლო გარემო. აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსი, რაც სრულიად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ქეთევან ჯანელიძემ ხაზი გაუსვა პროგრამის განმახორციელებელი პირების მაღალკვალიფიციურობას და აღნიშნა, რომ რეგიონში ასეთი კადრების მოძიება და ჩართვა პროგრამის განხორციელებაში მისასალმებელია.

დაწესებულების დირექტორმა მერაბ გოხელაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს განხორციელებული ვიზიტისათვის და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მიიღეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ექსპერტისგან, გაითვალისწინეს და შემდგომშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესშიც.

გიორგი გამყრელიძემ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მომავალში საჭირო იქნება უფრო მეტად კონცენტრირება მოხდეს ტექნიკურ მიმართულებებზე. საბჭოზე ძირითადად ერთგვარი მიმართულებების პროგრამები გადის. ვინაიდან ეს პროგრამების დასაქმებას უნდა ემსახურობდეს, მეტი ადამიანი შეემატოს შრომის ბაზარს თავისი უნარებით, გარკვეულწილად პროფესიულ განათლებას ვაყენებთ უმაღლესი განათლების კონკურენტად, თუმცა პროგრამები წარმოდგენილია ისეთი, რომ რამოდენიმე ხანში ამოწურავს საკუთარ თავს. მისთვის არ არის კარგი ტენდენცია, რომ ანალოგიურ პროგრამებს წარმოადგენს ბევრი კოლეჯი საბჭოზე უფლების მოსაპოვებლად. ვინაიდან ამ პროგრამაზე წინა სხდომებზე საბჭოს ვრცელი ნდისკუსია ქონდა, ამ კოლეჯს მეტი პასუხები აქვს, გარკვეულწილად წინარე გამოცდილებით იხელმძღვანელა. დაშვების წინაპირობაში უცხო ენის დონე უკვე დაზუსტებულია, თუმცა საექვოა რეგიონში 30 მსმენელი მოიძებნოს, ვისაც ინგლისური ენის B2 დონე ექნება. მისი მოსაზრებით უნდა გამოიყოს ისეთი პროგრამები, რომლებიც ტექნიკურ საკითხებზე დახელოვნების ხელშემწყობი იქნება და პროგრამები, რომელიც ორიენტირებული იქნება ჰუმანიტარულ მიმართულებებზე. აქვე შენიშნა, რომ მისი რეკომენდაციაა პროგრამის დასახელებაში სიტყვა „რეგიონალური“ არასწორია და შეიცვალოს სიტყვით „რეგიონული“.

გიორგი გამყრელიძემ ასევე ინფორმაციის დაზუსტება ითხოვა, ვინაიდან ინგლისური ენის ცოდნა იყოფა გარკვეულ კატეგორიებად, როგორცაა კითხვა, წერა და მეტყველება, B2 დონეს ითხოვენ შეჯამებულად ყველა მიმართულებით თუ მხოლოდ მეტყველების მხრივ. კოლეჯის წარმომადგენელმა მარიამ აბელიანმა დააზუსტა ინფორმაცია, რომ მათი მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს ტურისტული ობიექტის შესახებ მოამზადოს პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე, ამდენად მიღების დროს ინგლისური ენის ცოდნას ამოწმებენ მხოლოდ მეტყველების მხრივ.

ნიკოლოზ მესხიშვილმა დააზუსტა ინფორმაცია, საბჭოს სხდომის ოქმებში, სადაც განხილულია ანალოგიური პროგრამების საკითხი, დაფიქსირებული რეკომენდაციები სრულად არის თუ არა კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებული. აქვე შენიშნა, რომ ყველა პროგრამა ინდივიდუალურია და შეიძლება ეს პროგრამა იდენტური არ არის სხვა

ორგანიზაციების მიერ ანალოგიური დასახელების პროგრამისა, ამდენად იკითხა ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, მიდგომები თუ არის გათვალისწინებული პროგრამაში.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია, რაც სხვა კოლეჯების მიმართ იყო დაფიქსირებული ამ პროგრამისთვის, კოლეჯმა პროგრამაში გაითვალისწინა.

ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, რეგიონში ინგლისური ენის B2 დონის მცოდნე პირები ნაკლებად იქნებიან და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, შესაძლოა გამოჩნდეს ინგლისურ ენაში დონის გაუმჯობესების ბევრი მსურველი. დაინტერესდა, ხომ არ ფიქრობს კოლეჯი რაიმე კურსის მომზადებას ასეთი პირებისთვის. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს მოლოდინი აქვთ, პრაქტიკა აჩვენებს და კოლეჯი შესაძლებლობების ფარგლებში მოთხოვნილებებზე შემხვედრად იმოქმედებს.

თავმჯდომარემ უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებით, დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ეს საკითხი საბჭომ განიხილა, როცა ამ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სხვა პროგრამის განხილვა მოხდა საბჭოს სხდომაზე. ჰიდრანტის მოსაწყობად ვადის მიცემის თაობაზე საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ ვადის მიცემის გარეშე მიანიჭა პროგრამის განხორციელების უფლება, იმ პირობით, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უნდა მოეწყოს აღნიშნული ჰიდრანტი. ამ შემთხვევაშიც საბჭოს მიდგომა და გადაწყვეტილება იგივე იქნება, თუ პროგრამის განხორციელების უფლებას მოიპოვებს კოლეჯი, სასწავლო პროცესის დაწყება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ თუ მოეწყობა ჰიდრანტი.

თორნიკე ჯობავა დაინტერესდა, საჭიროების შემთხვევაში, თუ ქვეყანაში რიგი შეზღუდვები დაწესდება ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად შესაძლებელია ამ პროგრამის სრულად დისტანციურად ან ჰიბრიდული მეთოდით განხორციელება. კოლეჯის წარმომადგენელმა, მარიამ აბელიანმა უპასუხა, რომ საჭიროების შემთხვევაში, რიგი სწავლის შედეგები შესაძლებელია დისტანციურად განხორციელდეს, თუმცა სრულად პროგრამა ვერ განხორციელდება დისტანციურად. აქვე შენიშნა, რომ ჯერ კოლეჯში სასწავლო პროცესის გამოცდილება არ აქვთ, რა თქმა უნდა არც დისტანციური სწავლების და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პლატფორმები იქნება გამოყენებული.

თორნიკე ჯობავამ ურჩია კოლეჯს გამოიყენონ GOOGLE-ის პლატფორმა, რომელიც უფასოდ არის ხელმისაწვდომი და მოხმარებისთვის კარგი გზამკვლევებიც არის მომზადებული. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ბატონი თორნიკე ჯობავას მონაწილეობით არაერთ ღონისძიებაში ერთვებიან კოლეჯის წარმომადგენლები და მიესალმება ინოვაციური ტექნოლოგიების კოლეჯში დაგეგმვას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ /01153/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

## **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 1(გიორგი გამყრელიძე)**

## **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული

მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, სსიპ კასპის კოლეჯს (ს/კ: 205405480) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - რეგიონალური ტურისტული მეგზური /01153 (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 4 აგვისტო.

საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს სხდომას შემოუერთდა გიორგი ვეკუა.

## **2. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „რელიგიური ტურის გიდი“ /01130/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა - ლანა გაჩეჩილაძემ. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დისტანციური ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 15 ივლისს.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული მომზადების პროგრამა - რელიგიური ტურის გიდი, მეოთხე დონე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მოთხოვნილი მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, ერთი ჯგუფის შემთხვევაში -12, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ **დასკვნაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა.**

კოლეჯმა პროფესიული მომზადების პროგრამის „რელიგიური ტურის გიდი“ შემუშავების დასაბუთებისათვის წარმოადგინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის წერილი, სადაც კოლეჯს საპატრიარქო ავალებს, რომ მან განახორციელოს პროგრამა „რელიგიური ტურის გიდი“ და მოახდინოს ეპარქიებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება.

გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველა ეკლესიას და სალოცავს აქვს თავისი ტიპიკონი, რომლის არცოდნა და დარღვევა ტურისტების მხრიდან ქმნის უხერხულობას. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ბევრი გიდი საკმაოდ არასწორად წარმოაჩენს კონკრეტული სალოცავის ისტორიას. შესაბამისად, საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უმჯობესია მომზადდეს რელიგიური ტურის გიდი. პროგრამის მსმენელი შესაძლოა იყოს, როგორც კონკრეტული მართლმადიდებლური ტაძრის ან სხვა კონფესიის სასულიერო პირი ან



უბრალოდ სალოცავის წარმომადგენელი, ასევე სხვა დაინტერესებული პირი. გარდა უცხოელი ტურისტებისა ეს გიდები მოემსახურებიან სასკოლო თუ კორპორატიულ ექსკურსიებს, ქართველ მომლოცველებს.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებია:

1. რელიგიური კონფესიების და ტურიზმის ისტორიის აღწერა;
2. ტურის საორგანიზაციო საკითხების მომზადება;
3. ტურის პროგრამის მომზადება;
4. რელიგიური ტურის წარმართვა;
5. ჩატარებული ტურის ანგარიშის მომზადება.

პროფესიული მომზადების პროგრამის „რელიგიური ტურის გიდი“ მიზანია მოამზადოს კვალიფიციური გიდები საქართველოში რელიგიური ტურების წარმართვის მიზნით, რომლებიც შეძლებენ პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნისა და რეალურ გარემოში გამომუშავებული უნარების საფუძველზე, ტურისტებს მიაწოდონ უტყუარი ინფორმაცია და წარმართონ ტური ეთიკის ნორმების და გარემოსდაცვითი პრინციპების დაცვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება;

აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა-გასაუბრება. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ უცხო ენასთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა- თუ რატომ არ არის განსაზღვრული წინაპირობად უცხო ენის კომპეტენცია. ვინაიდან კურსდამთავრებულებს მოუწევთ უცხოელ ტურისტებთანაც ურთიერთობა, წარმომადგენლების განმარტებით, ისინი გასაუბრების დროს პრიორიტეტს მიანიჭებენ უცხო ენის მცოდნეებს, თუმცა პროგრამაზე დაშვება არ შეზღუდეს, რადგან არის ქართულენოვანი ტურისტების მომსახურება არის უფრო მოთხოვნადი.

წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა - 240 საათი. კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 20/25 სთ. პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. პროგრამის აღწერაში დაფიქსირებულია და დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა შეიცვალოს საათების კვირეული განაწილება, რაც განხორციელდება მსმენელთან წინასწარი შეთანხმებით. ამ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯს განემარტა, რომ პროგრამაში დაფიქსირებულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას კოლეჯი ვერ შეცვლის, ვინაიდან საათები გათვალისწინებულია სწავლის შედეგის და თემატიკის გათვალისწინებით, თუმცა შესაძლებელია ჯგუფზე მორგებულად შეცვალოს კვირის მანძილზე დღიური საათობრივი დატვირთვა.

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების უმეტესობა მიმართულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს არ აქვს დადებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით რომელიმე ტურისტულ კომპანიასთან ხელშეკრულება, ვინაიდან პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად არის ა(ა)იპ ასოციაცია „Georgia For Friends“ / ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სწავლების პროცესში მოხდება ასოციაციის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიები. კოლეჯი საპატრიარქოს დაარსებულია და ეპარქიებისგანაც ექნებათ მხარდაჭერა. ამასთან, კოლეჯი თავად ფლობს სალაშქრო ინვენტარს. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა აქტიურად იქნება გამოყენებული. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად ასევე გათვალისწინებულია სასწავლო ექსკურსიები ტურისტულ ლოკაციებზე და სხვადასხვა ტურისტულ კომპანიებში.

ლანა გაჩეჩილაძემ გააჟღერა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.4. ვინაიდან კურსდამთავრებულებს მოუწევთ უცხოელ ტურისტებთანაც ურთიერთობა, სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის კომპეტენცია, ან პროგრამას დაემატოს, როგორც სასწავლო კომპონენტი, დარგობრივი ინგლისური ენა/საკვანძო ტერმინოლოგია (ვინაიდან ინგლისური არის საერთაშორისო ენა) .

ქვესტანდარტი 1.6. კურსდამთავრებულის წარმატებით დასაქმების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კომპონენტი, რომელიც გულისხმობს იმ სარეკლამო არხების მიწოდებას მსმენელისათვის, რომლის საშუალებით იგი შეძლებს საკუთარი მომსახურების შეთავაზებას მომხმარებლისათვის, შეძლებს სწორად შეფუთოს საკუთარი პროდუქტი და მოახდინოს სწორი პოზიციონირება შრომით ბაზარზე.

ქვესტანდარტი 2.2 პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს მითითებული აქვს მხოლოდ A გარემო. მისაღწევი სწავლის შედეგები აშკარად საჭიროებს B გარემოს. კოლეჯის წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს განაცხადეს, რომ აქვთ B გარემო, რომელიც ფაქტობრივად თავისუფალია, ვინაიდან გრძელვადიანი პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის გიდი“ მიღევად რეჟიმშია. შესაბამისად გაითვალისწინებენ რეკომენდაციას და B გარემოსაც გამოიყენებენ შედეგების განსახორციელებლად. სასურველია ეს გათვალისწინებულ იქნას და რიგი სწავლის შედეგების განხორციელება დაიგეგმოს B გარემოში.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წარმოდგინა ფოტო მასალა, კერძოდ სასწავლო გარემო. აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკა, დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსი, რაც სრულიად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

საბჭოს სხდომა დატოვა თორნიკე თოხაძემ.

თავმჯდომარე დაინტერესდა საბჭოს წევრები რას ფიქრობდნენ პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან მიმართებით, უცხო ენის საკითხზე.

ქრისტინე მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ რადგან პროგრამა ქართულენოვან ტურისტებისთვის მომსახურებაზეა აქცენტირებული, მიზანშეწონილია პროგრამის დასახელებაში ჩანდეს, რომ რელიგიური ტურის გიდი არის ქართულენოვანი.

გიორგი გამყრელიძის მოსაზრებით, არ აქვს მნიშვნელობა გიდი არის რელიგიური თუ რეგიონული ტურის, ვინაიდან პროგრამებში არ ჩანს ძირითადი განმასხვავებელი. საქართველო მთიანი ქვეყანაა და ბევრი ტურისტი ჩამოდის, რომელსაც აინტერესებს ალპინიზმი. ეს მიმართულება საკმაოდ ძვირადღირებულია და დასაფიქრებელია, უმჯობესია ვასწავლოთ ისეთი საქმე, რაც იშვიათია, განსხვავებულია და უფრო მეტად ანაზღაურებადია. მაგალითად მოიყვანა ჯომარდობა და შენიშნა, რომ ტურისტებს აინტერესებთ უფრო განსხვავებული, რაც სხვებისგან განასხვავებს ქვეყანას. ასევე, მაგალითად მოიყვანა, რომ მცინვარწვერზე ასვლას ტურისტი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად გიდის გარეშე, თუმცა რელიგიური კუთხით საქართველოში ქართველები უფრო სპონტანურ ტურიზმს იყენებენ, იშვიათად ხდება, რომ დაიქირაონ გიდი, ისინი თვითონ გეგმავენ და ახორციელებენ ტურს. რელიგიური ტურის გიდის მომსახურება, ორგანიზებული ტურიზმი სწორედ უცხოელ ტურისტს სჭირდება. ამდენად თუ არ გაიზრდება შიდა ტურიზმისთვის ორგანიზებული ტურიზმის წილი, ამ პროგრამის საჭიროება ქართულენოვანი ტურისტებისთვის ამ დროისთვის არ არის. შეჯამებულად წარმოადგინა გიორგი გამყრელიძემ საკუთარი აზრი, უმჯობესია პროგრამები გიდების ისეთ კატეგორიაზე იყოს აქცენტირებული, რომელიც ქართულ ბაზარზე საერთოდ არ არის ან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და გამდიდრდეს სპექტრი. აღნიშნა, რომ მისი როლი საბჭოში არის ის, რომ მხარი დაუჭიროს დასაქმების რეალურ შესაძლებლობას.

ნათია კვიციანი ალნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება გიორგი გამყრელიძის მოსაზრებას. ალნიშნა, რომ საქართველო არის მართლმადიდებლური ქვეყანა, რომელსაც აქვს დიდი ისტორია და რელიგიური ტურიზმი ძალიან პოპულარული და მასშტაბურია. მისი მოსაზრებით, ამ სახის პროგრამისთვის ინგლისურ ენაზე მეტად აქტუალური იქნება რუსული ენა, რამდენადაც ყოფილი საბჭოთა კავშირში არსებული ქვეყნებიდან, როგორცაა უკრაინა, ბელორუსია, მოლდოვა და ა.შ. ხშირად სტუმრობენ საქართველოს ტურისტები. პროგრამაში საკითხი არ ეხება ეკლესიის მხოლოდ მონახულებას, აქ საუბარია ტიპიკონზე, რიგ საკითხებზე, რის გამოც საპატრიარქოა დაინტერესებული ამ პროგრამის განხორციელებით.

თავმჯდომარემ ალნიშნა, რომ საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან შემოდიან რუსულენოვანი ტურისტები და მისი მოსაზრებითაც ალბათ რუსული ენის ჩართვა იმაზე აქტუალურიც იქნება ამ პროგრამაში ვიდრე ინგლისური ენაა.

ნატო მეზურიშვილმა ალნიშნა, რომ ქვეყანას უდავოდ სჭირდება პროფესიონალი გიდები. ქვეყანას ჰყავს რაოდენობრივად ბევრი გიდი, თუმცა პროფესიონალი გიდები- რაოდენობრივად მცირე. ტურიზმში მეტი წილი საჭიროა უცხოენოვანი გიდი, მათ შორის არის ისეთი ენები, რომლის მცოდნე გიდები საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციასაც კი უჭირს და არ ჰყავს. რელიგიური ტურის გიდის პროგრამას პირადად მხარს უჭერს, რამდენადაც აქტუალური საკითხია. აქვე ალნიშნა, რომ უცხო ენა რა თქმა უნდა საჭიროა, თუმცა ქართულენოვანი გიდიც შეიძლება მომზადდეს.

გიორგი გამყრელიძემ ალნიშნა, რომ თვითონ იმყოფებოდა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ამ ვიზიტისას უთხრეს, რომ იშვიათად სტუმრობენ ქართველები ამ მუზეუმს. მისი მოსაზრებით ასეა სხვა მუზეუმებშიც. ამდენად არააქტუალურია ქართულენოვანი გიდის მომზადება/ გადამზადება. ნათია კვიციანი არ დაეთანხმა და ალნიშნა, რომ საქართველოს აქვს საუკუნოვანი ისტორია, ხოლო რელიგიური ტური ფაქტობრივად საქართველოში ისტორიული ტურიზმია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ არის შესაძლებლობა, დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, გაფორმდეს ხელშეკრულებები სხვადასხვა მონასტესთან. კოლეჯის დირექტორმა ალნიშნა, რომ კოლეჯი საპატრიარქოს დაფუძნებულია. მათი მოთხოვნის შესაბამისად შემუშავდა პროგრამა და ეს არის კურსდამთავრებულთა დასაქმების გარანტია და თუ საბჭო საჭიროდ ჩათვლის დამატებით ხელშეკრულებებსაც გააფორმებენ. ალნიშნა, რომ საპატრიარქოში ფუნქციონირებს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ახორციელებს სხვადასხვა ტურებს, მათ შორის შიდა ტურებს და მზაობას გამოთქვამენ დაასაქმონ კურსდამთავრებულები.

თავმჯდომარემ ალნიშნა, რომ როგორც ქართველი, მიესალმება ამგვარ პროგრამას. საბჭოს გაუზიარა გამოცდილება, რომ რეგიონებში ტაძრებში მოლოცვის დროს იშვიათად ხვდება ისეთ პირს, ვინც რაიმე ისტორიას გაუზიარებს. პირადად ცდილობს შვილებს საქართველოს ისტორია შეაყვაროს, თუმცა ხშირად ტაძრებში მესანთლეებიც კი არ არიან და მითუფრო ვინმე, ვინც ტაძრის ისტორიას გაუზიარებს მათ, ამდენად მისთვის პირადად მისასალმებელია ამგვარი პროგრამის არსებობა, თუნდაც უცხო ენის კომპონენტის გარეშე.

თორნიკე ჯობავამ ალნიშნა, რომ გაეცნო მსოფლიო სტატისტიკურ მონაცემებს და პილიგრიმული ტურების მონაწილეებში რუსეთი და საქართველოს მეზობელი ქვეყნები ათეულშიც არ შედის, ამდენად პირადად მისთვის თუ პროგრამაში უცხო ენაზეა საუბარი, მიზანშეწონილია იყოს ინგლისური. საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების მომხრეა. აქვე შენიშნა, რომ ეკლესიაში ახალგაზრდა მრევლის სიმცირეა და თუ სამომავლო პერსპექტივაზეა საუბარი, უმჯობესია აქცენტი გაკეთდეს უცხო ენაზეც და მეტწილად

ინგლისურზე, ვიდრე რუსულზე. აქვე შენიშნა, რომ ერთგვაროვნების მიზნით, ისევე როგორც წინა სხდომებზე რელიგიური ტურიზმის პროგრამებზე, ამ შემთხვევაშიც სასურველია დაკონკრეტდეს, რომ ეს იქნება ქართულენოვანი გიდი.

ნათია კვიციანი ალნიშნა, რომ აქვს გარკვეული შეხება და იცის, რომ რუსულენოვანი ტურისტები მიზნობრივად რელიგიური ტურით ჩამოდიან საქართველოში. რუსული ენა საქართველოში აქტუალური აღარაა და შესაძლოა, არც იცოდეს მსმენელმა და იცოდეს მხოლოდ ინგლისური, თუმცა საჭიროდ თვლის პროგრამაში იყოს რუსული ენაც გათვალისწინებული.

თორნიკე ჯობავამ ალნიშნა, რომ პროგრამაში ორივე ენის ჩართვას ისიც მიესალმება.

თავმჯდომარემ ალნიშნა, რომ დაშვების წინაპირობაში უნდა მიეთითოს უცხო ენა/ენები და შესაბამისი დონე, ან პროგრამის დასახელებაში უნდა დაკონკრეტდეს და მიეთითოს ქართულენოვანი. დაინტერესდა, ამ საკითხთან დაკავშირებით რას ფიქრობს კოლეჯის დირექტორი.

კოლეჯის დირექტორმა, რეზო შარაბიძემ ალნიშნა, რომ კოლეჯი მიღევად რეჟიმში ახორციელებს პროგრამას „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენა არ იყო, თუმცა მიღების დროს შეამოწმეს უცხო ენის კომპეტენცია და პროგრამაზე ჩარიცხეს ინგლისური, რუსული და ბერძნული ენის მცოდნე პირები. ენის არ შეზღუდვის შედეგად შედგა შერეული ჯგუფი. ამ შემთხვევაშიც ასე იქნება, მიზანშეწონილად მიაჩნია დაშვების წინაპირობაში არ მიეთითოს უცხო ენა, შედეგად კი იქნება ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი და სხვა უცხოენოვანი გიდები.

ნიკოლოზ მესხიშვილმა მადლობა გადაუხადა კოლეჯს ამ პროგრამის ინიციატივისთვის. ალნიშნა, რომ პირადად მას წინა პერიოდში დაუკავშირდა ჰოლანდიიდან ლექტორი, რომელმაც უთხრა, რომ ამსტერდამში ხორციელდება რელიგიური ტურის გიდის პროგრამა. მან შეიტანა ამ პროგრამაზე განაცხადი და მიიღო მონაწილეობის უფლება. იმედი აქვს, რომ შეძლებს გამგზავრებას და მიღებულ გამოცდილებას სიამოვნებით გაუზიარებს კოლეჯს. პირადი მოსაზრება გააჟღერა, რომ ვინაიდან პროგრამა ძირითადად გათვლილია ეპარქიის წარმომადგენლებზე, შესაძლებელია დაშვების წინაპირობაში უცხო ენის მითითებამ გარკვეული ბარიერი შექმნას. შეიძლება უცხო ენის ცოდნის გარეშე საკუთარი საქმის უკეთ შესრულება მოახერხოს პირმა ამ პროგრამით, რომ ქართველმა ქართველს უკეთ აუხსნას ისტორიები ან ფაქტები, არ უნდა შევზღუდოთ გარკვეულწილად იმის გამო, რომ არ იცის უცხო ენა. საქართველოს ამ პროგრამისთვის აქვს უნიკალური პოტენციალი და ქართველების გარდა ეს უნდა ვანახოთ უცხოელებსაც, ამიტომ კარგი იქნება უცხოენოვანი გიდიც გვყავდეს.

ქრისტინე მეფარიშვილის მოსაზრებით, უმჯობესია პროგრამის სახელწოდებაში დაკონკრეტდეს ენა. დამსაქმებელმა სერტიფიკატიდან უნდა გაიგოს რა ენაზე შეუძლია პირს მომსახურების გაწევა.

ლანა გაჩეჩილაძემ გააჟღერა პირადი მოსაზრება, რომ არ მიესალმება პროგრამის სახელწოდებაში ენის დაკონკრეტებას. პროგრამის სახელწოდება პროგრამის შინაარსს შეესაბამება. ენის კომპეტენცია კი გამჭოლი კომპეტენციაა, დამატებითი სერვისი და დამსაქმებელი აიყვანს ისეთ პირს რომელიც მის მოთხოვნას დაკმაყოფილებს, თუმცა პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შეძლოს რელიგიური ტურის დაგეგმვა და წარმართვა. ენის კომპეტენციის საკითხი შესაძლებელია მიეთითოს სერტიფიკატის დანართში დამატებითი ინფორმაციის ველში. შენიშნა, რომ შიდა ტურიზმი მისი მოსაზრებით მეტად

აქტუალურია, ყველა დაგეგმილი ექსკურსია უკავშირდება ქვეყნის მასშტაბით ეკლესია - მონასტრების მონახულებას.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში რელიგიური ტურიზმი ნამდვილად აქტუალურია, თუმცა ასევე მეტად მნიშვნელოვანია კვალიფიციური გიდის არსებობა, რაც ასევე ნიშნავს უცხო ენის კომპეტენციასაც. პროგრამა მოკლევადიანია, ამ ვადაში რომელიმე უცხო ენის შესწავლა ფაქტობრივად შეუძლებელია, ამდენად დაშვების წინაპირობაშივე უნდა მიეთოს უცხო ენა.

საბჭოს თავმჯდომარემ ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის საკითხი დააყენა.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ კოლეჯი გეგმავდა ამ პროგრამაზე მსმენელების მალევე მიღებას და ერთთვიანი ვადის მიცემა ამ პროცესს გააჭიანურებს. გამოთქვა მზაობა მხოლოდ პროგრამის დასახელება შეიცვალოს და მიეთითოს ქართულენოვანი, რათა მიღების პროცესი არ შეფერხდეს და შემდგომში იმუშავეს კოლეჯი შემოიტანოს ინგლისურენოვანი ან/და რუსულენოვანი რელიგიური ტურის გიდის პროგრამები.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას. პროგრამის სახელწოდება, რომ თანხვედრაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან, მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს პროგრამის დასახელება - ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ /01130/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

## **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 1(გიორგი გამყრელიძე)**

## **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი /01130 (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 4 აგვისტო.

საკითხის განხილვის და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ვეკუამ და თორნიკე ჯობავამ.


საბჭოს სხდომაზე ქვორუმის არ არსებობის გამო განსახილველი დარჩენილი საკითხები საბჭომ გადადო შემდეგ სხდომაზე, რომელიც დაგეგმილი იყო 6 აგვისტოს 14 სთ-ზე და აღნიშნეს, რომ თუ კოლეჯი თანახმა იყო სხდომა დაიწყებოდა 13 სთ-ზე გადადებული საკითხების განხილვით. აღნიშნულს დაეთანხმა კოლეჯის დირექტორი.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:02 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გამყრელიძე გიორგი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01153	რეგიონალური ტურისტული მეგზური	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	6	ქართული	30	ქ. ვასპი, აღმაშენებლის ქ. №168 ვ

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01130	ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	24	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52